გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 45

2025 წლის 14 მარტი

ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტისთვის ძველი სახელწოდების გადარქმევის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საკრებულოს წევრის ლიანა ოქროპირიძის ინიციატივა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკაში არსებული #3 ქუჩისთვის ძელი სახელწოდების გადარქმევის და ქართველი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, საზოგადო მოღვაწის ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. ამასთან, #3 ქუჩის I ჩიხს შესაბამისად ეწოდოს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქუჩის I ჩიხი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, განიხილოს აღნიშნული ინიციატივა. ამასთან, სახელდების თაობაზე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2024 წლის 2025 წლის 24 თებერვლის N45 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისდა 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის, ასევე, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე" ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 მაისის N82 განკარგულებით „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ" დამტკიცებულ N36 დანართში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს - #3 ქუჩას ეწოდოს ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელი, #3 ქუჩის I ჩიხს შესბამისად ეწოდოს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქუჩის I ჩიხი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

비라사ᄒᆞᆫᄀᆞᆯᄀᆞᆯᄅᆞ ᄀᆞᆯᄀᆞᆯᄃᆞᆫᄀᆞᆯ

ადმინისტრაციული ერთეული	დასახლების სტატუსი	დასახლების დასახელება	გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება (სახელობით ბრუნვაში)	გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება (ნათესაობით ბრუნვაში)	შენიშვნა
მერეთი	სოფელი	კომკა	ქუჩა:1-ლი	1-ლი ქუჩა	ნაწილობრივ ემთხვევა სოფელ გუგუტიანთკარის 1-ელ ქუჩას
მერეთი	სოფელი	კომკა	ჩიხი:1-ლი ქუჩის I	1-ლი ქუჩის I ჩიხი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ქუჩა:მე-2	მე-2 ქუჩა	
მერეთი	სოფელი	კომკა	შესახვევი:მე-2 ქუჩის I	მე-2 ქუჩის I შესახვევი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ჩიხი:მე-2 ქუჩის I	მე-2 ქუჩის I ჩიხი	
მერეთი	სოფელი	კომკა	შესახვევი:მე-2 ქუჩის II	მე-2 ქუჩის II შესახვევი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ჩიხი:მე-2 ქუჩის II	მე-2 ქუჩის II ჩიხი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ჩიხი:მე-2 ქუჩის III	მე-2 ქუჩის III ჩიხი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ქუჩა:მე-3	მე-3 ქუჩა	ნაწილობრივ ემთხვევა სოფელ გუგუტიანთკარის მე-3 ქუჩას
მერეთი	სოფელი	კომკა	ჩიხი:მე-3 ქუჩის I	მე-3 ქუჩის I ჩიხი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ქუჩა:მე-5	მე-5 ქუჩა	
მერეთი	სოფელი	კომკა	შესახვევი:მე-5 ქუჩის I	მე-5 ქუჩის I შესახვევი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ქუჩა:მე-6	მე-6 ქუჩა	
მერეთი	სოფელი	კომკა	შესახვევი:მე-6 ქუჩის I	მე-6 ქუჩის I შესახვევი	
მერეთი	სოფელი	კომკა	ჩიხი:მე-6 ქუჩის I	მე-6 ქუჩის I ჩიხი	